



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #058/12<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი სალომე აბულაძე

### ფაქტები

ადვოკატი ახორციელებდა კლიენტის (ყოფილი კლიენტის) წარმომადგენლობას 2010 წლის 4 ივნისის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატი ახორციელებდა საჩივრის ავტორის (შემდგომში არსებული კლიენტის) წარმომადგენლობას 2010 წლის 5 სექტემბრის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. ყოფილი და არსებული კლიენტის საქმეებს შორის არსებობდა კავშირი, რაც გამოიხატებოდა არსებული კლიენტის მოწმის სტატუსით მონაწილეობაში ყოფილი კლიენტის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატს ჰქონდა ამის შესახებ ინფორმაცია, თუმცა განმარტავდა, რომ მის მიერ ყოფილი კლიენტისთვის წარმომადგენლობის დაწყებისას არ იყო დადასტურებული არსებული კლიენტის ბრალეულობა სისხლის სამართლის საქმეში.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში არსებული კლიენტის მიერ შეტანილ იქნა საჩივარი ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის და თანხის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობის დაწყებისას უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე და თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს არსებულ და მომავალ კლიენტებს შორის.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით, არსებული კლიენტი მონაწილეობდა მოწმის სტატუსით. ადვოკატს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გააჩნდა ყოფილ კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების დროს, თუმცა არ იყო დადასტურებული არსებული კლიენტის ბრალეულობა თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა გამოძიება. ადვოკატის განმარტება იმის თაობაზე, რომ მის მიერ ყოფილი კლიენტისთვის წარმომადგენლობის დაწყებისას არ იყო დადასტურებული არსებული კლიენტის ბრალეულობა სისხლის სამართლის საქმეში, არ ათავისუფლებს მას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულებისაგან. აღნიშნულ გარემოებებში ადვოკატს არ უნდა გაეფორმებინა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არსებულ კლიენტთან, თავი უნდა აერიდებინა მისთვის კონსულტაციის გაცემისთვის და შემდგომში არ უნდა განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული ქმედებები.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს, ერთი მხრივ, გააჩნდა ვალდებულება არ გაემჟღავნებინა ყოფილი კლიენტის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და, მეორე მხრივ, არსებული კლიენტის მიმართ გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება მისი ინტერესების დასაცავად. ადვოკატს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მისი ყოფილი და არსებული კლიენტების

<sup>1</sup> საქართველოს ეთიკის კომისიის 2013 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილება:  
<https://gba.ge/pdf/5c48495f59dd4.pdf/5c48495f59dd4.pdf>



ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და მაინც აგრძელებდა არსებული კლიენტის ინტერესების დაცვას, ინტერესთა კონფლიქტის არიდების ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ.

### **დასკვნა**

ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.